



თბილისი

16 იანვარი 2021 წ.

ბრძანება № 02-21

2020 – 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2020 წლის 14 თებერვლის #03-20 საოქმო გადაწყვეტილებით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ №10/წ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული რექტორის 2020 წლის 01 აპრილის №41-20 ბრძანებით) 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილები შემდეგი სახით:

№	საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
1	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა	5
2	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა	5
3	ბაკალავრიატი	ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა	10
4	ბაკალავრიატი	თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	3

5	ბაკალავრიატი	სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა	5
6	ბაკალავრიატი	პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამა	5
7	ბაკალავრიატი	ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	15
8	ბაკალავრიატი	სოციოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	5

2. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები შემდეგი სახით:
 - 2.1. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირების საბუთების მიღება და კრედიტების აღიარება 2021 წლის 09 თებერვლიდან - 14 თებერვლის ჩათვლით.
 - 2.2. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულების გაფორმება - 2021 წლის 15 თებერვლიდან - 17 თებერვლის ჩათვლით.
 - 2.3. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის მიწოდება - 2021 წლის 19 თებერვალი.
3. შიდა მობილობის პროცესში (ჩარიცხვამდე) წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:
 - ა) განცხადება მიმღები ფაკულტეტის დეკანის სახელზე;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი დედნის წარმოდგენით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის /პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);
 - გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, ამ ბრძანების 2.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17-მდე, მისამართზე კ. ქუთათელაძის ქ. #3 ან ქვეყანაში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის ელექტრონულ ფოსტაზე - info@sabauni.edu.ge.
5. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (ც.ხითარიშვილი).
6. დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი




ვაჟა ვარდიძე